

საქართველოს ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი



GEORGIAN STATE
TEACHING UNIVERSITY OF
PHYSICAL EDUCATION AND
SPORT

№ 01-0345

„10 თებერვალი“ 2015წ.

საქართველოს პრეზიდენტს

ბატონ გიორგი მარგველაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“ 2013 წლის ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებათა შესრულების თაობაზე.

დანართი 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

რექტორის მოვალეობის

შემსრულებელი, პროფესორი



ჯემალ მაგანია

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ 2013 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებათა შესრულების თაობაზე

2013 წლის 28 მარტიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში“ სულ რეგისტრირებულია 1 იურიდიული პირის განცხადება, რომელსაც თანდართული ქონდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შესაბამისი წერილი.

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ მიერ საანგარიშო პერიოდში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსადმი წარდგენილი იქნა 1 საჯარო ინფორმაცია.

2013 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ მიერ არცერთი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 20 სექტემბრის N02/03 ბრძანების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე და საჯარო ინფორმაციის (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე ვლადიმერ ბოჭაძე.